USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

რეფორმეტრი

საჯარო-კერძო დიალოგი (PPD) ელექტრონული კომერციის რეფორმის შესახებ

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

აპრილი, 2022

შენიშვნა: *ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

სარჩევი

ელექტრონული კომერციის რეფორმის შესახებ 3

რეფორმის შეფასების მეთოდოლოგია 5

საჯარო-კერძო დიალოგი 6

რეფორმის მონიტორინგის ინდიკატორები 10

1. ელექტრონული კომერციის რეფორმასთან დაკავშირებული ზოგადი ინდიკატორები 10

1.1. ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობები 10

1.2. მოსახლეობის გადანაწილება ICT უნარების მიხედვით 11

1.3. საქონლისა და მომსახურების შეძენა ან შეკვეთა ინტერნეტით 11

2. ელექტრონული კომერციის რეფორმის შედეგებთან დაკავშირებული ინდიკატორები 12

2.1. საწარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსახურების ვებ გაყიდვებს 12

2.2. ადგილობრივი ელექტრონული კომერცია 13

2.3. ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობა საცალო ვაჭრობასთან 14

2.4. ელექტრონული კომერციის ტერმინალების რაოდენობა 14

2.5. უცხოური ბარათებით გადახდების წილი ადგილობრივ ელექტრონულ კომერციაში .. 15

2.6. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვებ-გაყიდვების ღირებულების პროცენტული განაწილება . 16

2.7. ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობა ჯამურ ელექტრონულ კომერციასთან 17

დანართი I. PPD ღონისძიების პრეზენტაციის სლაიდები: USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; რეფორმეტრი. 18

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

ელექტრონული კომერციის რეფორმის შესახებ

რეფორმა მიზნად ისახავს საქართველოში ელექტრონული კომერციის ხელშეწყობას სათანადო სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოსა და საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარების გზით. ელექტრონული კომერციის რეფორმა მრავალი სხვადასხვა ასპექტისაგან შედგება და აერთიანებს დამნერგავი სამთავრობო უწყებების, საჯარო სექტორის დაინტერესებული მხარეების და კერძო სექტორის აქტივობებს. ეს ასპექტები მოიცავს ნაკლოვანებებს როგორც სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოში, ისე არაეფექტურ ქმედებებს კერძო სექტორში. დღეისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტრონული კომერციის პლატფორმების მიმართ მომხმარებელთა ნდობის დაბალი დონე, რის შედეგადაც, სექტორის შიგნით ვიღებთ გამოუყენებელ პოტენციალს.

მთავარი გამოწვევები და ნაკლოვანებები, რომლებიც არასრულყოფილ საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოსთანაა დაკავშირებული:

1. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მოქმედება 2012 წელს შეწყდა და დღეისათვის არ არსებობს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც პირდაპირ დაიცავდა მომხმარებელთა უფლებებს. ახალ საკანონმდებლო ჩარჩოზე მიმდინარეობს მუშაობა და აღნიშნული საკითხი ელექტრონული კომერციის და მომხმარებელთა უფლებების შესახებ ახალი კანონის მიღების შედეგად დაიფარება.[1]
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ იქნა შემუშავებული, მიღების შემდეგ ხელახლა განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესებსა და კონცეფციებს, და თანხვედრაში იქნება ევროკავშირის შესაბამის რეგულაციასთან.
3. შუამავალი მომსახურების პროვაიდერებისთვის (ISP) არ არის ნათლად განსაზღვრული წესები და პასუხისმეგბლობები ელექტრონული კომერციის პლატფორმებზე განთავსებულ არალეგელურ კონტენტთან დაკავშირებით. ამჟამად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აქტიურად ურთიერთობს ISP-ებთან მათი ვებ-გვერდებიდან არალეგალური კონტენტის აღების მიზნით; როგორც წესი, კომუნიკაციის აუცილებლობა მაშინ დგება, როცა ვებ-გვერდის მეპატრონე ვერ იდენტიფიცირდება, ან ამ უკანასკნელს არ სურს ინფორმაციის აღება საკუთარი ვებ-გვერდიდან. ელექტრონული კომერციის შესახებ ახალი კანონი ნათლად განსაზღვრავს ISP-ების უფლებებსა და მოვალეობებს და ათავისუფლებს არალეგალური კონტენტის მონიტორინგის ვალდებულებისგან. დამატებით, შესაბამისი ცვლილებები შევიდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული კანონები შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან.
4. საგადახდო სისტემებთან და საგადახდო მომსახურებებთან დაკავშირებული საკითხები. 1. უცხოურ ბაზრებზე ბიზნესის წვდომის ხელშეწყობა ევროკავშირის ფარგლებში საერთაშორისო საგადასახადო პროცესების ეფექტურობის, სიმარტივისა და უსაფრთხოების გაზრდის გზით. 2.

[1] ელექტრონული კომერციის შესახებ გამართული საჯარო-კერძო დიალოგის თარიღისთვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ახალი კანონი ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. ახალი კანონი პარლამენტმა 2022 წლის 29 მარტს მიიღო. შესაბამისად რეპორტში წარმოდგენილი მსჯელობა აღნიშნული კანონის გარშემო, შეესაბამება საჯარო-კერძო დიალოგის მომენტისთვის არსებულ ვითარებას.

საგადასახადო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის განვითარება დავების გადაწყვეტის არსებული სასამართლო სისტემის ჩასანაცვლებლად. აღნიშნული საკითხების დასაფარად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (NBG) უკვე მოამზადა ცვლილებები საგადახადო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ კანონში შესატანად.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევებისა, არსებობს ბევრი პრობლემა, რომლებიც გამომდინარეობს კერძო სექტორში არსებული არაეფექტური ბიზნეს პროცესებიდან, როგორებიცაა: i) ელექტრონულ კომერციაში ჩართვისთვის საჭირო ტექნიკური უნარების არარსებობა; ii) დაბრუნების არაეფექტური პოლიტიკა; iii) არაეფექტური საკურიერო მომსახურება და iv) საბაჟო გადასახადის პროცედურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.

შედეგად, ელექტრონული კომერციის რეფორმის ფარგლებში არაერთი განსხვავებული ელემენტია ერთმანეთთან გადაჯაჭვული. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს ერთიანი და ნათელი ხედვა რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით და, ასევე, ჰქონდეთ ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაცია.

რეფორმის შეფასების მეთოდოლოგია

პირველ საჯარო-კერძო დიალოგს ელექტრონული კომერციის რეფორმის შესახებ გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. მისი მიზანი საჯარო და კერძო სექტორის სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა შეკრება და რეფორმის შესახებ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება იყო. შესაბამისად, პირველ შეხვედრაზე არ შეფასებულა რეფორმის დანერგვის პროცესი. დაინტერესებულმა მხარეებმა განიხილეს არსებული ვითარება და მოხდა რეფორმასთან დაკავშირებული ინდიკატორების წარდგენა.

შემდეგი PPD ღონისძიებიდან (რომელიც დაახლოებით 6 თვეშია დაგეგმილი) რეფორმის პროგრესის შეფასება, რეფორმეტრის პროექტის ფარგლებში, ჩატარდება წელიწადში ორჯერ სამი ძირითადი ინსტრუმენტის გამოყენებით:

1. **სამთავრობო კვლევა** ხარისხობრივი გამოკითხვის გზით აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამნერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; და კომპეტენციის გაძლიერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-100% შუალედში ზომავს რამდენად ახლოს არიან რეფორმის დამნერგავი უწყებები რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.
2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის** ფარგლებში რეფორმის დაინტერესებული მხარეები შეფასებას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში მიღწეული პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება.
3. რეფორმის პროგრესის შესაფასებლად ასევე გამოყენებულია კონკრეტულ რეფორმასთან დაკავშირებული **ობიექტური ეკონომიკური ინდიკატორები.**

გარდა შეფასების ზემოთ მოცემული სამი ინსტრუმენტის გამოყენებისა, რეფორმეტრის ფარგლებში მოხდება ასევე დაინტერესებული მხარეების თვისობრივი შეფასებების დასკვნის წარმოდგენა, ჩატარდება რეგიონული შეხვედრები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები ელექტრონული კომერციის რეფორმის ეფექტური დანერგვის მხარდაჭერის მიზნით.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

საჯარო-კერძო დიალოგი

ელექტრონული კომერციის რეფორმის შესახებ პირველ საჯარო-კერძო დიალოგში არაერთმა სამთავრობო უწყებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. დაინტერესებულ პირებს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული რეფორმის დანერგვის პროცესში, წარმოადგენენ საქართველოს პარლამენტი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქპატენტი და საქართველოს ეროვნული ბანკი. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლები. მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორს წარმოადგენდნენ სატელეკომუნიკაციო ოპერატორების და ელექტრონული კომერციის პლატფორმების ასოციაციები, ბიზნეს ასოციაციები, კერძო კომპანიები, საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები. ქვემოთ მოცემული ტექსტი მოკლედ აღწერს ამ დაინტერესებული პირების როლს ელექტრონული კომერციის რეფორმის დანერგვის პროცესში და შეხვედრაზე მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

- ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს **საქართველოს პარლამენტის** როგორც დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის, ისე ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენლებმა. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ელექტრონული კომერციის რეფორმის ზოგად მიმდინარეობას. ხოლო ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი 2013 წლიდან მუშაობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონზე, შესაბამისად, კომიტეტის წარმომადგენელმა დიალოგის ფარგლებში კანონპროექტის უახლესი ვერსია წარმოადგინა.
- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეფორმის დანერგვის პროცესში, ვინაიდან სწორედ მან შეიმუშავა კანონი ელექტრონული კომერციის შესახებ. კანონპროექტის პრეზენტაცია გააკეთა კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. დეპარტამენტი, ერთი მხრივ, ჩართულია ტელეკომუნიაციების სფეროში ასოცირების შეთანხმების (AA) იმპლემენტაციის პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, ელექტრონულ კომერციასთან, ელექტრონულ კომუნიკაციებთან, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და საფოსტო მომსახურებასთან[2] დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავების პროცესში.
- **საქპატენტმა,** როგორც ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის განვითარებაზე პასუხისმგებელმა უწყებამ, მოამზადა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. საქპატენტის წარმომადგენელმა შეხვედრაზე კანონში შესული საკვანძო ცვლილებები წარმოადგინა.
- ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდა **საქართველოს ეროვნული ბანკის** საგადახდო სისტემების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტი პასუხისმგებელია საქართველოს საგადახდო სისტემების ეფექტურ ფუნქციონირებაზე - საგადახდო მომსახურების სათანადო ოპერირების ხელშეწყობისა და საგადახდო მომსახურების მიმღები მხარეების უფლებების დაცვის გზით.[3] საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოამზადა საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ კანონის ცვლილებების პროექტი. იგი ამ ეტაპზე ავითარებს

[2] პოლიტიკის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის სისტემური შეფასება- ელექტრონული კომერციის რეფორმა.
[3] *იგივე.*

საგადახდო დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმს. მას შემდეგ, რაც მექანიზმი ძალაში შევა, სწორედ ის განიხილავს საგადახდო მომსახურებასთან, მათ შორის, ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებულ საკითხებზე შემოსულ მომხმარებლების საჩივრებს.

- როგორც ამ დროისთვის არის გათვალისწინებული, **საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო** იქნება პასუხისმგებელი მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ელექტრონული კომერციის შესახებ კანონის აღსრულებაზე.
- **საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია** ამჟამად პასუხისმგებელია ISP-ებთან კომუნიკაციაზე ვებ-გვერდებიდან არალეგალური კონტენტის ამსახველი ინფორმაციის აღების მიზნით. თუმცა, ელექტრონული კომერციის შესახებ კანონის მიღებასთან ერთად, ამ მხრივ, მათი სამომავლო როლი და პასუხისმგებლობები ჯერ კიდევ განსასაზღვრია.[4]
- **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური** პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების მონიტორინგზე. აღნიშნული უწყება, ასევე, ატარებს ინსპექტირებებს და განიხილავენ პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ საჩივრებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მოამზადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონის პროექტი, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის რეგულაციებთან. უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაუქმდა. იქმნება ახალი საჯარო უწყება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე.[5]
- PPD-ზე კერძო სექტორი უმეტესწილად დარგობრივი და ბიზნეს ასოციაციების სახით იყო წარმოდგენილი: მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სააგენტო (SMEDA), საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG), საქართველოს ელექტრონული კომერციის ასოციაცია (ECA), იქომერს ასოციაცია - საქართველო (ECAG) და საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია (TOA). ელექტრონული კომერციის ასოციაციებმა წარმოადგინეს ონლაინ სავაჭრო პლატფორმების , ხოლო TOA-მ - შუამავალი მომსახურების პროვაიდერების მოსაზრებები.
- PPD-ს ასევე დაესწრნენ სხვა წარმომადგენლები არასაჯარო სექტორიდან, კერძოდ: პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი - PMCG, გალტ & თაგარტი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინვესტორთა საბჭო, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა.

ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებმა მნიშვნელოვანი საკითხები წამოჭრეს და საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარებასთან დაკავშირებით გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, კერძოდ:

- ელექტრონული კომერციის ძირითადი გამოწვევები განხილულ იქნა USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გუნდის წარმომადგენლის მიერ. მისი თქმით, მომხმარებლებს დაბალი ნდობა აქვთ ელექტრონული კომერციის პლატფორმების მიმართ, რაც გამოწვეულია უსამართლო და შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკით. სხვა გამოწვევები უკავშირდება საავტორო უფლებების არასათანადო დაცვას ონლაინ სივრცეში, არაპროგნოზირებად გარემოს

[4] *იგივე.*
[5] [საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ]

შუამავალი მომსახურების პროვაიდერებისთვის (ISP), პერსონალურ მონაცემთა დაცვის რისკებს და არაეფექტურ ბიზნეს პროცესებს, არაეფექტური საფოსტო მომსახურებისა და ICT უნარების ნაკლებობის ჩათვლით.

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ ელექტრონული კომერციის შესახებ კანონის მთავარი მიზანი ISP-ების უფლებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა, არალეგალური კონტენტის მონიტორინგის ვალდებულებებისგან მათი გათავისუფლება და მომხმარებელთა უფლებების დაცვაა. ISP-ები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ ინფორმაციის გატარების, ქეშირებისა და ჰოსთინგის ოპერაციებს, ისინი გათავისუფლდებიან ვებ-გვერდის არალეგალური კონტენტის მონიტორინგის დამატებითი ვალდებულებისგან. თუმცა, კანონი ISP-ებისგან მოითხოვს ვებ-გვერდის არალეგალურ კონტენტზე რეაგირებას, თუ მათ დადასტურებულად ეცოდინებათ, რომ მასალა უკანონოა (იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ, შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ან სამართალდამცავმა ორგანომ დაავალა დარღვევის აღმოფხვრა ან პრევენცია).
- დისკუსიის ფარგლებში წამოიჭრა კანონის დადებითი და უარყოფითი გავლენების შეფასების საკითხიც, ვინაიდან, ბიზნესის გადმოსახედიდან, რეფორმას და მის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს, შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კერძო სექტორზე. თუმცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA) ელექტრონული კომერციის შესახებ კანონპროექტისთვის არ ჩატარებულა, ვინაიდან აღნიშნული კანონი არ ადგენს შემზღუდველ რეგულაციებს ბიზნესისთვის, ის მხოლოდ განმარტავს ელექტრონულ კომერციაში საკვანძო მოთამაშეების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მიღების პროცესში შემდეგი ნაბიჯების გადადგმამდე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო კანონპროექტთან დაკავშირებით განხილვების გაგრძელებას აპირებს კერძო სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან.
- ISP-ების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მომზადდა საქპატენტის მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ფარგლებში. არსებული კანონი აერთიანებს ადმინისტრაციულ და სამართლებრივ მექანიზმებს, რომლითაც საავტორო უფლებების მფლობელებს შეუძლიათ, იმოქმედონ ვებ-გვერდზე არალეგალური კონტენტის წინააღმდეგ. თუმცა, ეს მექანიზმები დიდ დროს მოითხოვს და ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია უკანონო საქმიანობის აღკვეთის პროცესში. ახალი მექანიზმი, „შეტყობინება და ვებ-გვერდიდან წაშლა“, საავტორო უფლებების მფლობელს საშუალებას მისცემს შეატყობინოს ISP-ებს არალეგალური კონტენტის შესახებ, თუ ისინი შეძლებენ საკუთრების უფლების დამტკიცებას შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. ISP-ის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა თუ არალეგალური კონტენტის ამსახველი ინფორმაცია იქნება აღებული კანონდამრღვევი ვებ-გვერდიდან.
- ახალი კანონპროექტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ გამყიდველებს აკისრებს ვალდებულებას, რომ მიაწოდონ მომხმარებელს საჭირო ინფორმაცია თავიანთ პროდუქტებზე. ის, ასევე, ითვალისწინებს მოთხოვნებს დისტანციური ხელშეკრულებებისთვის და განსაზღვრავს რა შემთხვევაში უნდა იყოს მიჩნეული ხელშეკრულების პირობები არაკეთილსინდისიერად. კანონპროექტი, ასევე, განსაზღვრავს წესებს და პირობებს ამგვარი ხელშეკრულებების შესაწყვეტად და აწესებს გარანტიის პირობებს შეუსაბამო ხარისხის მქონე

პროდუქტისთვის. კანონპროექტის შესაბამისად, წინამდებარე მოთხოვნების აღსრულებაზე პასუხისმგებელი იქნება კონკურენციის სააგენტო. როგორც ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის წამყვანმა სპეციალისტმა განაცხადა, კონკურენციის სააგენტოს ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე იგეგმება ცალკე დეპარტამენტის შექმნა. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სააგენტო არ განიხილავს ინდივიდუალურ საქმეებს, და ის ჩაერთვება მხოლოდ უფლებების კოლექტიური დარღვევის შემთხვევაში.

- საქართველოში ელექტრონული კომერციის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დასახელდა საფოსტო მომსახურების მაღალი ფასები და დაგვიანებული მიწოდება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა შეხვედრისას გააჟღერა ინფორმაცია ახალ კანონპროექტზე საფოსტო მომსახურების შესახებ, რომლის დანიშნულებასაც საკურიერო სერვისის ხარისხის გაუმჯობესება და საფოსტო მომსახურების პროვაიდერებისთვის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრა წარმოადგენს.
- ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა ბიზნესების მზადყოფნის საჭიროებას ბიზნეს პროცესების გაციფრულების მიმართულებით, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის შემდგომ ჩართულობას ელექტრონულ კომერციაში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო (SME) ბიზნესებისთვის. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შეხვედრაზე ახსენა, მუშაობა უკვე დაწყებულია ელექტრონული დოკუმენტების მართვის პლატფორმის განვითარების მიმართულებით, რამაც, ასევე, ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის ჩართულობას ელექტრონული კომერციაში. დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვა (საბაჟო დოკუმენტების ჩათვლით) არსებითად მნიშვნელოვანი კომპონენტია ელექტრონულ კომერციაში. აღნიშნული პლატფორმა მუშავდება EU4Digital პროგრამის ფარგლებში, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ციფრული ბაზრების, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტების პრაქტიკის, ჰარმონიზაციის საშუალებას მისცემს.
- PPD-ს შეხვედრის ფარგლებში, საქართველოს ელექტრონული კომერციის ასოციაციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ელექტრონული კომერციის ზუსტი განმარტებისა და მისი მოცულობის ზუსტად გაზომვის მნიშვნელობას. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომელიც დღეისათვის ელექტრონული კომერციის მოცულობის შესახებ მონაცემების მთავარ წყაროს წარმოადგენს, შეხვედრის მონაწილეებს საგადახდო სისტემების დეპარტამენტის გეგმა გააცნო ელექტრონული კომერციის მონაცემების უფრო დეტალურად დამუშავების შესახებ. აღნიშნული, რეფორმის პროგრესის მონიტორინგისთვის უკეთესი მექანიზმების ხელშეწყობასაც უზრუნველყოფს.

რეფორმის მონიტორინგის ინდიკატორები

რეფორმეტრის გუნდმა ელექტრონული კომერციის რეფორმის პროგრესის შესაფასებლად რიგი ობიექტური ინდიკატორები შეარჩია იმ ზოგად ინდიკატორებთან ერთად, რომლებიც საქართველოში ელექტრონული კომერციის სექტორის განვითარებას განაპირობებენ. მოცემული ქვეთავი სწორედ ამ შერჩეულ ინდიკატორებს წარმოადგენს.

1. ელექტრონული კომერციის რეფორმასთან დაკავშირებული ზოგადი ინდიკატორები

ციფრული ინფრასტრუქტურა და განათლება ელექტრონული კომერციის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ინტერნეტზე წვდომა და ციფრული უნარების განვითარება ადამიანებსა და ბიზნესებს ეხმარება, რომ ჩაერთონ ელექტრონული კომერციის აქტივობებში.

1.1. ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობები

როგორც 1.1. დიაგრამაშია ასახული, იმ შინამეურნეობების წილი, რომელთაც ინტერნეტზე აქვთ წვდომა, 2016-2021 წლებში 70%-დან 86%-მდე გაიზარდა. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს განსხვავება ქალაქსა (91% 2021 წელს) და სოფლში (79% 2021 წელს) მცხოვრებ შინამეურნეობებს შორის. აღსანიშნავია, რომ იგივე მაჩვენებელი 2019 წელს მსოფლიოში საშუალოდ 57%-ს უტოლდებოდა, 48%-ს - განვითარებად ქვეყნებში, ხოლო 85%-ს - განვითარებულ ქვეყნებში.[6]

დიაგრამა 1.1. **ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი*2016-2021***



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[6] საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი, გალტ & თაგარტი.

1.2. მოსახლეობის გადანაწილება ICT უნარების მიხედვით

აღნიშნული ინდიკატორი გვიჩვენებს ციფრული უნარების დონეს საქართველოს მოსახლეობაში. ეს უნარები სამ კატეგორიად იყოფა: საბაზისო, სტანდარტული და მაღალი. საბაზისო უნარები აერთიანებს კოპირების, წაშლის, ფაილების სხვა ფოლდერებში გადატანის და ელექტრონული ფოსტის (თანდართული ფაილებით) გაგზავნის ცოდნას. სტანდარტული უნარები აერთიანებს ონლაინ პრეზენტაციების მომზადების, საძიებო ფუნქციების ცოდნას და ახალი პროგრამების ჩამოტვირთვისა და ინსტალაციის უნარებს. მაღალი დონის უნარები კი კომპიუტერული პროგრამების წერის უნარს მოითხოვს.

დიაგრამა 1.2. მოსახლეობა ICT უნარების მიხედვით, 2016-2021



წყარო: საქართველოს ტელეკომუნიკაციების კავშირი

როგორც 1.2 დიაგრამიდან ჩანს, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (69%) 2019 წლისთვის საბაზისო ციფრულ უნარებსაც კი არ ფლობდა.

1.3. საქონლისა და მომსახურების შეძენა ან შეკვეთა ინტერნეტით

აღნიშნული ინდიკატორი 15 წელს გადაცილებული მოსახლეობის იმ წილს განსაზღვრავს, რომელმაც 2016-2021 წლებში შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი ან მომსახურება ინტერნეტის ემშვეობით. მარცხენა დიაგრამა გვიჩვენებს, რომ 2021 წელს მოსახლეობის 21%-მა შეუკვეთა ან შეიძინა საქონელი ან მომსახურება ონლაინ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქალაქის (26%) და სოფლის (12%) მოსახლეობას შორის. მარჯვენა დიაგრამაზე მოცემულია ჩაშლა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომლის მიხედვითაც, ყველაზე აქტიური 15-29 წლამდე მოსახლეობაა.

დიაგრამა 1.3. 15+ წლის მოსახლეობის წილი, რომელმაც შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით, 2016-2021



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2. ელექტრონული კომერციის რეფორმის შედეგებთან დაკავშირებული ინდიკატორები

ელექტრონული კომერციის რეფორმა, სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების, ადგილობრივი ელექტრონული კომერციის პლატფორმების სანდოობის გაზრდისა და საერთაშორისო ბაზრებზე ბიზნესის წვდომის გაფართოვების გზით, მიზნად ისახავს საქართველოში ელექტრონული კომერციის ხელშეწყობას.

2.1. საწარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსახეურბის ვებ გაყიდვებს

ქვემოთ მოცემული დიაგრამა 2.1 იმ საწარმოების წილს გვიჩვენებს, რომლებიც 2020 წელს საქონლის ან მომსახურების ონლაინ გაყიდვებში იყვნენ ჩართული. როგორც დიაგრამიდანაც ჩანს, საწარმოების 3%-მა გაყიდა საქონელი/მომსახურება საკუთარი ვებ-გვერდების ან აპლიკაციების მეშვეობით, 1.1%-მა გამოიყენა ელექტრონული კომერციის საერთო პლატფორმა ან აპლიკაცია, ხოლო 95.9% საერთოდ არ ჩართულა ონლაინ გაყიდვებში.

დიაგრამა 2.1. საწარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსაცურების ვებ გაყიდვებს, 2020



შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი გაანგარიშებულია მხოლოდ იმ საწარმოებისთვის, რომელთაც შესაბამის პერიოდში ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2.2. ადგილობრივი ელექტრონული კომერცია

მომდევნო დიაგრამა გვიჩვენებს ადგილობრივი ელექტრონული კომერციის მოცულობას, რომელიც მოიცავს ელექტრონული კომერციის ტერმინალებით შესრულებულ ოპერაციებს (ქართული და უცხოური ბარათებით) ყველა სავაჭრო-მომსახურების ობიექტში, გარდა აზარტული თამაშების და სახელმწიფო დაწესებულებებში გადახდებისა. მოცემული ინდიკატორი 2020-2021 წლებში, Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებითა და ონლაინ ვაჭრობის, მათ შორის საკვების მოწოდების სერვისის, ზრდის ფონზე, საკმაოდ დიდი იყო. წინა წელთან შედარებით ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ზრდა 2020 წელს 99%-ს გაუტოლდა, ხოლო 2021 წელს - 29%-ს.

დიაგრამა 2.2. ადგილობრივი ელექტრონული კომერცია, 2018-2021



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2.3. ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობა საცალო ვაჭრობასთან

აღნიშნული ინდიკატორი ადგილობრივი ელექტრონული კომერციის განვითარებას საცალო ვაჭრობის სექტორის ბრუნვასთან მიმართებით გვიჩვენებს. ამ კუთხით, აღმავალი ტენდენცია აღინიშნება 2018 წელს 2.7%-დან, 2020 წელს 5.9%-მდე ზრდის სახით.

დიაგრამა 2.3 ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობა საცალო ვაჭრობასთან, 2018-2021 (Q1-Q3)



შენიშვნა: საცალო ვაჭრობა დაანგარიშებულია ავტომობილებით, მოტოციკლებითა და საწვავით ვაჭრობის გამოკლებით.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2.4. ელექტრონული კომერციის ტერმინალების რაოდენობა

შემდეგი ინდიკატორი, რომელიც ელექტრონული კომერციის ტერმინალების რაოდენობას განსაზღვრავს, ელექტრონულ კომერციაში ბიზნესების ჩართულობაზე მიუთითებს. ტერმინალების რაოდენობა 2019 წლიდან იზრდება, რაც ელექტრონულ კომერციაში მეტი ბიზნესის ჩართულობით არის განპირობებული.

დიაგრამა 2.4. ელექტრონული კომერციის ტერმინალების რაოდენობა, 2018-2021



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2.5. უცხოური ბარათებით გადახდების წილი ადგილობრივ ელექტრონულ კომერციაში

ადგილობრივი ელექტრონული კომერციის პლატფორმების მიმართ ნდობის გაზრდითა და ბიზნესების საერთაშორისო გადახდებთან და, შესაბამისად, საერთაშორისო ბაზრებთან წვდომის წახალისებით, ელექტრონული კომერციის რეფორმა საქართველოს ექსპორტის პოტენციალზეც ახდენს გავლენას. დიაგრამა 2.5 გვიჩვენებს უცხოური ბარათებით გადახდების წილს ელექტრონულ კომერციაში. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, უცხოური ბარათებით გადახდების წილმა საგრძნობლად იკლო, რაც, შესაძლოა, Covid-19-ის პანდემიითა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვებით იყო განპირობებული. ვითარება შედარებით გაუმჯობესდა 2021 წელს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ბარათებით გადახდები სეზონურობით ხასიათდება და ზაფხულის თვეებში განსაკუთრებით იმატებს.

დიაგრამა 2.5. უცხოური ბარათებით გადახდების წილი ადგილობრივ ელექტრონულ კომერციაში



შენიშვნა: ადგილობრივი ელექტრონული კომერცია მოიცავს გადახდებს ყველა სავაჭრო-მომსახურების ობიექტში, გარდა აზარტულ თამაშებზე ელექტრონული გადახდებისა. ლურჯი წერტილოვანი ხაზი 12-თვიანი პერიოდის მოძრავ საშუალოს აჩვენებს.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2.6. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვებ-გაყიდვების ღირებულების პროცენტული განაწილება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოკითხულ ქართულ საწარმოებზე დაყრდნობით, საქართველოს ფარგლებს გარეთ მათი ონლაინ გაყიდვების უდიდესი წილი ევროპაზე მოდის (41%), რომელსაც მოსდევს დსთ-ს ქვეყნები (30%) და აშშ (17%).

დიაგრამა 2.6. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვებ-გაყიდვებისპროცენტული განაწილება, 2020



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2.7. ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობა ჯამურ ელექტრონულ კომერციასთან

აღნიშნული ინდიკატორი გვიჩვენებს ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობას ჯამურ ელექტორნულ კომერციასთან. ჯამური ელექტრონული კომერცია მოიცავს ადგილობრივ ელექტრონულ კომერციას და ქართული ბარათებით ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ელექტრონული კომერციის ოპერაციებს. დღეისათვის, მიუხედავად ელექტრონული კომერციის ადგილობრივი პლატფორმების პოპულარობის ზრდისა, 50%-ზე მეტი მომხმარებელი შესყიდვის ოპერაციებს უცხოურ პლატფორმებზე ახორციელებს.

დიაგრამა 2.7. ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობა ჯამურ ელექტრონულ კომერციასთან, 2018-2021



შენიშვნა: ლურჯი წერტილოვანი ხაზი 12-თვიანი პერიოდის მოძრავ საშუალოს აჩვენებს.
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი I. PPD ღონისძიების პრეზენტაციის სლაიდები: USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; რეფორმეტრი.

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

ელექტრონული კომერციის რეფორმა

რატომ ელექტრონული კომერციის რეფორმა?

- ✓ ელ-კომერციის ინდუსტრია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია **საერთაშორისო ვაჭრობაში**.
- ✓ რეფორმის განხორციელება მეტად ხელმისაწვდომს გახდის ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ ბაზრებს საცალო მოვაჭრეებისა და მიმწოდებლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს **ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას.**

- ✓ ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება ხელს შეუწყობს საერთაშორისოდ აღიარებული **სტანდარტების დანერგვას ადგილობრივ ბაზარზე** და სექტორის სანდოობის ამაღლებას.
- ✓ საქართველოში ელექტრონული კომერციის წილი საცალო გაყიდვებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ბაზრების დონეს: 1.1% საქართველოში, 12% ევროპის საშუალო.

- ✓ პანდემიის პირობებში კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოიკვეთა ელექტრონულ ვაჭრობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და შესაბამისად, **რეფორმის დროულად განხორციელების საჭიროება.**

ელექტრონული კომერციის რეფორმა



სექტორის ძირითადი გამოწვევები



ელ-კომერციის რეფორმის მონაწილეები

რეფორმის მთავარი მიზანი

- ✓ ელ-კომერციის სექტორის ეკოსისტემის განვითარება ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით
- ✓ დაბალანსებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა კერძო სექტორის აქტიური ჩართულობის საშუალებით

დიდი მადლობა ყურადღებისთვის!

თათია ბაციკაძე
მრჩეველი საგარეო ვაჭრობის
პოლიტიკის საკითხებში

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

„ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

თებერვალი 2022

მიღების მიზეზი

- კანონპროექტის მიღება ნაწილობრივ განპირობებულია ევროპის კავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების 129-133 მუხლებით, როლითაც გათვალისწინებულია შუალედური მომსახურების მიმწოდებლების (Intermediary Service Providers) უფლებებთან და მოვალეობებთან დაახლოება.

- კანონის პროექტი შემუშავებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/31/EC დირექტივის (ელექტრონული კომერციის დირექტივა) შესაბამისად.

კანონის მიზნები

- ელექტრონული კომერციის სამართლებრივი ჩარჩოში მოქცევა
- საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის გზით შიდა ბაზრის ფუნქციონირების ხელშეწყობა
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა ელექტრონული კომერციის პროცესში
- შუალედური მომსახურების მიმწოდებლის უფლება-მოვალეობების განსაზღვრა ელექტრონული კომერციის პროცესში
- შუალედური მომსახურების მიმწოდებლის დაცვა ზოგადი მონიტორინგის ვალდებულებისგან

საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება

- მომსახურების დისტანციურად გაწევა
- ელექტრონული საშუალებებით
- მომსახურების მიმღების ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე
- ანაზღაურების სანაცვლოდ

საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების სუბიექტები

- **<u>მომსახურების მიმღები:</u>**
  - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული ან სხვა მიზნებისთვის იყენებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას, მათ შორის ინფორმაციის საძიებლად ან მათზე წვდომის უზრუნველსაყოფად;
  - ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს პირადი მიზნებისათვის, მისი ბიზნეს, სამეწარმეო ან პროფესიული საქმიანობის მიღმა;
- **<u>მომსახურების მიმწოდებელი:</u>**
  - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას;

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

- ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებლის შესახებ
- ინფორმაცია კომერციული შეტყობინების შესახებ
- ელექტრონული ხელშეკრულების ცნება და მისი დადების ეტაპებზე ინფორმაციის მიწოდება
- ელექტრონული შეკვეთა
- პერსონალური მონაცემების დაცვა
- ინფორმაციის მიწოდების ენა

შუალედური მომსახურების სახეები

- ➢ ინფორმაციის გატარება
- ➢ ქეშირება
- ➢ ჰოსტინგი
- ❖ ზოგადი მონიტორინგისგან განთავისუფლება
- ❖ როდის გვაქვს „ფაქტობრივი ცოდნა“

შუალედური მომსახურების მიმწოდებლები

- **„გამტარი“**- მოიცავს მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საკომუნიკაციო ქსელში გადაცემას ან საკომუნიკაციო ქსელში წვდომის უზრუნველყოფას. ეს მომსახურება მოიცავს ინტერნეტ წვდომას, ვაიფაის მიწოდებას და ა.შ.” Access provider “

- „**ქეშინგი“**- შუალედური მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც ავტომატურად, დროებით და შუალედურად ინახავს გატარებულ ინფორმაციას, იმ დროით რა დროც საჭიროა მის გადასაცემად.

- **„ჰოსტინგი**“ -მოიცავს მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შენახვას. მაგალითები: აუქციონის პლატფომრები (ი-ბეი), ვიდეოს გაზიარების პლატფორმები (მაგ იუთუბი), სოციალური ქსელები, ბლოგები და აშ.

პასუხისმგებლობის პირობები

- **„გამტარი“**- პასუხიმგებლობა არ ეკისრება თუ არ მოუხდენია
- ა)ინფორმაციის გატარების ინიცირება;
  ბ) გატარებული ინფორმაციის მიმღების არჩევა;
- გ) გატარებული ინფორმაციის შინაარსის შერჩევა ან შეცვლა

- **„ქეშინგი“-პასუხიმგებლობა არ დაეკისრება თუ :**.
- ა)არ ახდენს ინფორმაციის შეცვლას;
  ბ)არ არღვევს ინფორმაციაზე წვდომის პირობებს;
  გ)იცავს წესებს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის განახლებასთან ინდუსტრიაში საყოველთაოდ გამოყენებული და აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად;
  დ) ინდუსტრიაში ფართოდ გავრცელებული და აღიარებული ტექნოლოგიების მართლზომიერი გამოყენების გზით, ინფორმაციის მოხმარების მიზნით, არ ერევა მონაცემთა მოპოვების პროცესში;

- ე) დაუყოვნებლივ ახდენს შენახული ინფორმაციის წაშლას ან/და მასზე წვდომის შეზღუდვას, მას შემდეგ რაც შეიტყობს რომ ინფორმაციის გადაცემის პირველად წყაროსთან მოხდა მისი ქსელიდან ამოღება (წაშლა) ან მასზე წვდომის შეზღუდვა, ან სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით საამისოდ უფლებამოსილი შესაბამისი **ადმინისტრაციული** ან სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოხდა კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება კანონდარღვევის აღსაკვეთად.

- **„ჰოსტინგი**“ -არ დაეკისრება პასუხიმგებლობა თუ :
- ა) არ გააჩნია ფაქტობრივი ცოდნა უკანონო საქმიანობის ან ინფორმაციის შესახებ, ხოლო ზიანის ანაზღაურების სარჩელის შემთხვევაში, არ იცის იმ ფაქტების ან გარემოებების შესახებ, საიდანაც მჟღავნდება უკანონო საქმიანობის ან ინფორმაციის არსებობა; ან

- ბ) ფაქტობრივი ცოდნის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ასეთი უკანონო ინფორმაციის ამოღებას ან მასზე წვდომის შეზღუდვას;

ფაქტობრივი ცოდნა

- რელევანტურია ჰოსტინგ პროვაიდერთან მიმართებით, რადგან გადაცემული ინფორმაციის ვიზუალური აღქმა ჰოსტინგ პლატფორმის მეშვეობით ხდება, შესაბამისად მომხმარებელი/მომსახურების მიმღები ნათლად აღიქვამს ჰოსტინგ პლატფორმით გადაცემულ ინფორმაციას.

- **ფაქტობრივი ცოდნა მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუქნტის მიხედვით** ფაქტობრივი ცოდნა - ამ კანონის მიზნებისთვის, ფაქტობრივ ცოდნად ჩაითვლება სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით საამისოდ უფლებამოსილი შესაბამისი ადმინისტრაციული ან სამართალდამცავი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული ცოდნა ინფორმაციის ან ქმედების უკანონოდ ცნობის ან ქმედების შესაძლო უკანონობის შესახებ.

მონიტორნგის ვალდებულების არარსებობა

- წევრ სახელმწიფოები იზღუდებიან მომსახურების მიმწოდებლებზე მონიტორინგის ზოგადი სახის ვალდებულებების დაკისრებისგან, აღნიშნული არ ვრცელდება მონიტორინგის ვალდებულებებზე კონკრეტულ შემთხვევებში და, კერძოდ, არ ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს იმოქმედონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

- სპეციფიკური ვალდებულებები შეზღუდულია ხანგრძლივობით

სახელმწიფო კონტროლი

- კონკურენციის სააგენტო როგორც მომსახურების მიმღებთა; უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო;
- სააგენტოს მიერ ელექტრონული კომერციის სფეროში დავის განხილვის მექანიზმი;
- სანქცირება;
- კანონის ძირითადი მუხლები ამოქმედდება სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის წესისა და პროცედურების შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის შემუშავებისა და დამტკიცების შემდგომ.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში

შენიშვნა: *ამ პრეზენტაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*

G-EPI - ეკონომიკური მდგომარეობის ინდექსი



წყარო: ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ინდექსი მოიცავს 5 კომპონენტს:

- რეალური მშპ-ს ზრდა (%)
- ინფლაცია (%)
- ექსპორტის ფარდობა მშპ-სთან (%)
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობა მშპ-სთან (%)
- ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობა მშპ-სთან (%)

G-ESI - ეკონომიკისადმი განწყობის ინდექსი



ინდექსი აერთიანებს ორ დამოუკიდებელ გამოკითხვას:

- მომხმარებელთა განწყობის ინდექსი (CCI)
- ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI)

წყარო: ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული ზოგადი ინდიკატორები

ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობები



- 2019 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი მსოფლიოში საშუალოდ 57%-ია
- განვითარებადი ქვეყნებისთვის - 48%
- განვითარებული ქვეყნებისთვის - 85%

წყარო: International Telecommunication Union, Galt and Taggart

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობა ICT უნარების მიხედვით



წყარო: საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი

საქონლისა და მომსახურების შეძენა ან შეკვეთა ინტერნეტით





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეფორმასთან დაკავშირებული ინდიკატორები

საწარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსახურების ვებ გაყიდვებს



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ელექტრონული კომერცია



ადგილობრივი ელექტრონული კომერცია მოიცავს (ქართული და უცხოური ბარათებით) ელექტრონული კომერციის ტერმინალებით შესრულებულ ოპერაციებს ყველა სავაჭრო-მომსახურების ობიექტში, გარდა:

- აზარტული თამაშების და
- სახელმწიფო დაწესებულებებში გადახდებისა

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობა საცალო ვაჭრობაში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ელექტრონული კომერციის ტერმინალების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოური ბარათებით გადახდების წილი ადგილობრივ ელექტრონულ კომერციაში



შენიშვნა: ელექტრონული კომერცია მოიცავს გადახდებს ყველა სავაჭრო-მომსახურების ობიექტში, გარდა აზარტულ თამაშებზე გადახდებისა
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნის გარეთ ვებ-გაყიდვების ღირებულების პროცენტული განაწილება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ფარდობა ჯამურ ელექტრონულ კომერციასთან



ჯამური ელექტრონული კომერცია მოიცავს ადგილობრივ ელექტრონულ კომერციას და ქართული ბარათებით ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ელექტრონული კომერციის ოპერაციებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სამომავლოდ განსახილველი რეფორმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები

- ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით
- დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის მეშვეობით განხილული ელექტრონული კომერციის გადახდებთან დაკავშირებული საჩივრები
- საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული დარღვევები

გმადლობთ

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში